



3157/3-81/22 2 07042022

3157/3-81/22
07-04-2022

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო
სამართლის იურიდიულ პირს– შემოსავლების სამსახურს;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს;

ასლი: შსს საზღვრის დაცვის პოლიციას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით. აქვე მსურს მოგახსენოთ, რომ, როგორც დეპუტატს, მონიჭებული მაქვს დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებაზე. ამდენად, თუკი ჩაითვლება, რომ პასუხი ჩემ მიერ დასმულ რომელიმე შეკითხვაზე შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას ან სხვა არასაჯარო ინფორმაციას, გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი წესით.

1. 2022 წლის 20 თებერვლიდან, პასუხის გამოგზავნის თარიღის ჩათვლით, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საკონტროლო ნუსხით განსაზღვრულ ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე გაცემული:

ა) ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო მომსახურების და ტექნიკური დახმარების ნებართვების რაოდენობა;

ბ) პროდუქციის სრული ჩამონათვალი, რომელზეც გაიცა აღნიშნული ნებართვები;

გ) ნებართვების მიმღები რეზიდენტი, ან არარეზიდენტი იურიდიული პირების ჩამონათვალი, ორგანიზაციის დაფუძნების თარიღი და ქვეყანა, საქმიანობის სფერო.

2. 2022 წლის 20 თებერვლიდან, პასუხის გამოგზავნის თარიღის ჩათვლით, საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტში/გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #394 დადგენილების დანართ #2 ით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, მათ შორის, ამავე დადგენილებით განსაზღვრული ორი ვარსკვლავით აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო ან/და ტექნიკური მომსახურების, განხორციელებულ შემთხვევათა:

- ჯამური რაოდენობა და ღირებულება;
- ჩაშლილად, თითოეული ამგვარი ტრანზაქციით საზღვარზე გატანილი პროდუქციის სრული ჩამონათვალი;

- ჩაშლილად, თითოეული ამგვარი ტრანზაქციით საზღვარზე გატანილი პროდუქციის ღირებულება;
 - ჩაშლილად, თითოეული ამგვარი ტრანზაქციით საზღვარზე გატანილი პროდუქციის საბოლოო დანიშნულების ქვეყანა;
 - ჩაშლილად, თითოეული ამგვარი ტრანზაქციით საზღვარზე გატანილი პროდუქციის დანიშნულების ქვეყანაში მიმღები ორგანიზაცია/ორგანო/იურიდიული პირი.
3. რამდენ შემთხვევაში მოგიწიათ, 2022 წლის 20 თებერვლიდან, პასუხის გამოგზავნის თარიღის ჩათვლით, ისეთ პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო ან/და ტექნიკური მომსახურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მოცემულია „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #394 დადგენილების დანართ #2 ით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სიიდან მითითებულ გამონაკლისებში, ასევე ისეთი არაკონტროლირებადი პროდუქციის (მათ შორის, დანადგარების) ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო ან/და ტექნიკური მომსახურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ კონტროლირებად კომპონენტს, როდესაც ასეთი კომპონენტი შეიძლება მოხსნილი იქნას და გამოყენებული- სხვა დანიშნულებით. გთხოვთ ცალ ცალკე ჩამოგვითვალოთ ასეთი გადაწყვეტილებების:
- რაოდენობა;
 - განხორციელებული ტრანზაქციის ტიპი (იმპორტი, ექსპორტი, საბროკერო, ტექნიკური მომსახურება);
 - საბოლოო დანიშნულების ქვეყანა;
 - პროდუქციის ჩამონათვალი;
 - განხორციელებული ტრანზაქციის ღირებულება;
 - ტრანსაქციის განმახორციელებელი იურიდიული პირის/ორგანოს წარმოშობის ქვეყანა, დაფუძნების თარიღი, საქმიანობის სფერო.
4. თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაციით, არსებითად (10% ან მეტი), ხომ არ გაიზარდა მოთხოვნა რომელიმე ტრანზაქციის ნებართვაზე (იმპორტი, ექსპორტი, საბროკერო, ტექნიკური მომსახურება) 2020 წლის 20 თებერვლიდან- წერილის გამოგზავნის პერიოდის ჩათვლით მონაკვეთში, მანამდე არსებულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით? თუ გაიზარდა, რომელი ნებართვის? გთხოვთ ჩაშლილად მიგვითითოთ ზრდის მაჩვენებელი, მომხოვნი ორგანიზაციების დაფუძნების ქვეყანა, საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, დაფუძნების თარიღი, ნებართვის სახეობა;
5. თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაციით, არსებითად (10% ან მეტი), ხომ არ გაიზარდა „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #394 დადგენილების დანართ #2 ით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ან ამ

პროდუქციის სიაში მითითებული გამონაკლისი პროდუქციის, ასევე ისეთი არაკონტროლირებადი პროდუქციის (მათ შორის, დანადგარების) ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო ან/და ტექნიკური მომსახურების მოთხოვნა, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ კონტროლირებად კომპონენტს, 2020 წლის 20 თებერვლიდან- წერილის გამოგზავნის პერიოდის ჩათვლით მონაკვეთში, მანამდე არსებულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით? თუ არსებითად გაიზარდა, გთხოვთ ჩაშლილად მიგვითითოთ ზრდის მაჩვენებელი, მომხოვნი ორგანიზაციების დაფუძნების ქვეყანა, საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, დაფუძნების თარიღი, იმ პროდუქციის სრული ჩამონათვალი, რომელზედაც გაზრდილია მოთხოვნა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

